

ცრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ცრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ., სამელოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა ღირსი 8-2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11-12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12-29.

№ 118
მთავარი რედაქცია
საქართველოსთვის
მამათი იანვრის 7
1922 წ.

ყოველდღიური გაზეთი
ცრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნილი ღირს 45,000 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 2000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი აღარავის გაუგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიუსეიდან. რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

ორგანოს გამოვა უჩინალი ლომისის № 2

ი. გრიშაშვილი. თათრის ქალი სუფსარქისში.
ი. გრიშაშვილი. პატარას.
კ. მაყაშვილი. რომანსერო.
კ. მაყაშვილი. * * *
კ. მაყაშვილი. Panta rei.
ობოლი მუშა. 1921 წლის გარდაცვალებაზე.
ვასილ ბარნავეი. სადღეოდლო სარტყელი.
კოწია ვამსახურდია. თეოდორ დოსტოვესკი.
ხელოვნების მატინე.

გვითანი. საყვარელია ეს უპიროვნო ჯგირი, რომელიც მსხვერპლის დაუბოგველოებით ზღაპარს უკარგავს სოცრებას.

საქართველოსთვის საყვარელია ყველა ის უჩინარი ვაჟაკი, რომელიც საქართველოსთვის ფიცით კვდებოდა თბ-სუბივ გაცხრილ უკვარო სასაფლაოებზე.

ძვირფასია, ვისი სისხლიც დაინთხა იმ ცეცხლის ჩასაქრობად, რომელიც საქართველოს უპირობდენ დაწვას გრისა და რევოლუციის ნაფიცი მტრები. ბოროტების ცეცხლს მხოლოდ სისხლი აქრობს. და ტიტო ფარესიშვილიც ერთი ამ მრავალთაგანია.

სამწუხარო ის არის, რომ მის ქვრულულად ჩასცეს ხანჯალი, დამე ორლონეში და არა ბრძოლის ველზე, მაგრამ პირველ-ზეხედვით მხოლოდ.

თორემ განა შინა-ფრონტი ყოველთვის უფრო საშინელი არ არის, ვიდრე გარეშე?

მოკლეს ავაზაყმა, ქვრულად მოკაპარეს სიციხეზე. რევოლუციამ იცის ხოლმე ასეთი უკუდმართობა, ამდგრევის ე.მ.ს. მაგრამ რევოლუციამ დაწმენდაც იცის, როცა ასეთი ავაზაყმა სასაქროზე გამოჰყავთ ნიღბ ჩამოგლეჯილები. ამას ისტორია იხმს. ჩვენ კი დღეს, კიდევ ერთხელ მოვიხლოთ ქუდი ამ გმირის საფლავთან, რომელიც ყველაფერს სთმობდა საქართველოს და რევოლუციისთვის. სასაფლაო მარტო მიცვალეულთა ქვეყანა კი არ არის, იგი ყველაზე ღრმა ფიქრის და ყვილაზე იტყუნულ ანალიზის ადგილიც არის. მივიდეთ იქ. და ტიტო ფარესიშვილის უჩინარ მოწმობით გავითვალისწინოთ გავლილი და გასაუღელი გზები.

უფრო მეტად გაიშლება პერსპექტივა, უფრო იმედინად წაახლოთ მომავლისაკენ. რევოლუციონერის საფლავი იმით გვიჩვენებს ჩვეულებრივისაგან, რომ ამ უკანასკნელთან სტირია, პირველთან კი სწავლობენ და ფიცსა სდებენ.

ტიტო ფარესიშვილი რევოლუციონერი იყო.

მის საფლავზე შეიძლება ფიცის დადება.

ამანაგა.

საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტი ამით აუწყებს ამხანაგებს, რომ კვირას, იანვრის 8-ს, 1 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დადუბულ ამხანაგის

ტიტო ფარესიშვილის

საფლავზე (ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში).

იესო ნაზარეველი.

1921 წლის წინდ ერთი ღურგლის ოჯახში დაიბადა ის, ვინაც თავის სახელი მისცა მთელ ეპოქას კაცობრიობის ისტორიაში, ვინაც დაანგრია ძველი წარმართული კულტურა და საფუძვლები ჩაუყარა ახალს, ქრისტიანულ კულტურას. ეს უდიდესი რევოლუციონერი იყო იესო ნაზარეველი. მან მოუტრიალდა გაბელულად გაილაშქრა ძველი რელიგიის, ძველი ზნე-ჩვეულებების და ძველი სოციალური ურთიერთობის წინააღმდეგ. მან სასტიკი ომი გამოუცხადა მწიგნობართ და ფარისევლებს, ამხელდა ყოველ ნაბიჯებზედ მათ თაღლითობას და სდევნიდა მოურიდებელი განაღდგურებელი კრიტიკით. ასევე ეტყეოდა ის მდიდართა და ძლიერთა ამა ქვეყნისა. ის უდიდეს ბოროტებად სთვლიდა სოციალურ უთანასწორობას და უარყოფდა კერძო საკუთრებას. მდიდარი ისე ვერ შვევა სასუფევლოში, როგორც აქლემი ვერ გაძვრება ნემსის ყურში! ასე კატეგორიული იყო ქრისტეს აზრი მდიდართა კლასზედ. ამიტომ მოითხოვდა ყველასაგან: დაურიგეთ ღარიბ-ღატაკთ თქვენი ქონება და მოწყევით მეო! როსკიში და ყაჩაღი მისთვის უფრო ახლომელი იყო, ვინემ მაღალ ზნეობაზედ მოლაპებ ფარისევლები ან „პატროსანი“ მოქალაქე ფუფუნებაში რომ ატარებდა დროს.

ქრისტე სასტიკად გაიმიჯნა მდიდართაგან, გარკვეულად იღბა მშრომელთა კლასობრივ ნიადაგზედ და მხოლოდ უკანასკნელთ მოუწოდებდა თავის დროშის ქვეშ: მოდიო ჩემთან, მაშვრალნო და ტვირთმძიმეო! აი ვისი მეთაურობა იკისრა ქრისტემ და ვისი საშუალებით ჰფიქრობდა ქვეყნის განახლებას. მაგრამ არ დასცალდა: მოწინააღმდეგე კლასმა, ვაბატონებულმა წოდებამ ჯვარს აცვა ის, როგორც მემამოხე და არსებული წესწყობილებების უარისმყოფელი, როგორც ღვთისა და სარწმუნოების მგმობელი.


მაგრამ ქრისტეს მაღალმა მოძღვრებამ, მისმა პირადმა ცხოვრებამ და აღსასრულმა ისე მოხიბლა მისი მათაყვანებელი უმეცარი ბრბო, რომ ღმერთად მიიჩნიეს უბრალო ღურგლის შვილი და შეთხზეს ლეგენდა მის უბიწო ჩასახვებზედ, მიაწერეს მას მრავალი სასწაული, მკვდრეთით აღდგომა და ზეცად ამაღლება. ასე დააჯილდოვა ხალხის ფანტაზიამ მისთვის წამებული საყვარელი გმირი.

შემდეგ კი დროთა განმავლობაში შეასწორეს ქრისტეს მოძღვრება,

მრავალი ახსნა-განმარტებებით სრულად შესცვალეს მისი შინაარსი და იმდენად შერყვნეს ის, რომ დღევანდელი ოფიციალური ქრისტიანობა მთელი ეკლესია-მონასტრებითა და მღვდელ-მოლოზნებით იცავენ მას, რასაც ქრისტე ებრძოდა და რისთვისაც ის ჯვარს აცვეს.

მაგრამ ეს ჩვენ ხელს არ შეგვიშლის მოვიგონოთ დღეს იესო ნაზარეველი, ეს პატროსანი და თავადებული მებრძოლი ჩაგრულთა ინტერესებისათვის, ეს შეურიგებელი მტერი მდიდართა და ძლიერთა და მისი დაბადების დღეს მოუწოდოთ მშრომელ ხალხს არა მორჩილებისა და მოთმინებისაკენ, რათა დაიძვეოდრონ სასუფეველი იმ ქვეყანად, არამედ შეურიგებელი ბრძოლისაკენ, რათა დაეამკვიდროთ სოციალიზმი ამ ქვეყანად.

ომეგა.



სისო უკანისოვილი ექვსი თვის თავზე

დიმიტრი (ტიტო) ფარესიშვილი

ტიტო ფარესიშვილი დაიბადა იმვე მხარაში, სცა ტრადიციულად დსრულდა მისი სიციხე — დუშეთის მხარის სოფ. კილურტში 1888 წელს.

ტფ. ტენიკურ სასწავლებელში სწავლის დამთავრების შემდეგ განსწავლული ხარკოვში გაემგზავრა და იქ საფარს-ცველო ნაწილზე შევიდა და ფარს-ცველო სარჩიბით დაბრუნდა კავკასს, სცა მას ალთაიში ნებართვა მისცეს, მაგრამ ხელმოკლეობის გამო ვერ გახსნა და ტფილისში გადმოვიდა, სცა მისი დედა და ძმა სცხოვრობდნენ. აქ გვიანის ფეთიკეში მსახურობდა ფარს-ცველომის დაწვევისას იგი ინიშნება ტრაპიზონის ნაწილის წითელ ჯვრის რწმუნებულად სცა ბრწყინვალეთ შესარტული თვისი მისია და ოსმალეთის შემოხვევის დროს მოასწრო მთელი ქონების გადაჩენა და გადმოხიდა ბათამში. ტრაპიზონში ყოფნის დროს იგი დაუბოლოვდა წითელ ჯვარში მოსამსახურე გერმანელ ქალს თეკა ვიორგის ასულ ბლიაშუმს, რომელიც ეხვეწებოდა ღვეტიკეების ყველა ფიქრი და წაყვაროდა მას გერმანიაში, მაგრამ ტიტომ არ მოისურვა, ვინაიდან სამშობლოში სამსახური მოიწადინა, მეტადრე თვის საყვარელ კუთხეში — დუშეთის მხარაში, სცა იგი აღიხარდა.

მართლაც იგი ტფილისში ჩამოსვლის შემდეგ გაემგზავრა დუშეთში და რადგან იგი ჩვენ პარტიის ეკუთვნოდა, მენ-შვიკებმა სიამაუზისმგებლო თვალსაჩინი თანამდებობა არ მისცეს, მაგრამ ხალხის სურვილით მალე ქალაქის თავად იქმნა არჩეული და თუმცა მოკლე ხანს დაჰყო

ნინო ფინაზის ასული ფარესიშვილის-წითლიშვილისა, არჩილ დავითის ძე და თამარ იესეს ასული ფარესიშვილები შეიღებოთურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 8 იანვარს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გარდახდულ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ვერავლად მოკლულ ღუშეთის რევეკომის წევრის

დიმიტრი (ტიტო) დავითის ძის ფარესიშვილისა.

ქ. ფრაიბურგში გარდაიცვალა მხატვარი

ფალვა ქიქოძე

რასაც დიდის გულის ტკივილით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს: გერასიმე, ანტონა, ენსტასია, ლ.ზა, გერონტი, ლავრენტე, ნაძაშა და ფედოსია ქიქოძეები და კონსტ. ანდრონიკაშვილი. პანაშვიდი ქვაშეთის ეკლესიაში კვირას, 8 იანვარს ნაშუადღევს 1 სათზე. № 173

ხალკვნავის სასახლე

სერგივევის ქუჩა № 13.
ხუთშაბათს იანვრის 12-ს

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო

მართავს მერვე ლიტერატურულ ხუთშაბათს საზეიმო საღამო.

ალიგიერი დანტე.

სიტყვები:
კოწია ვამსახურდია,
ლეო ქიჩიელი,
კოკი აბაშიძე.

მოწვეულნი არიან სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

შესავალი ბილეთები იყიდება მწერალთა საბჭოს მდივანთან ხელოვნების სასახლეში 12 დან 1 საათამდე.

დასაწყისი ადამოს 6 სათზე.

განათლების მუშაკთა საყურადღებოდ.

15 იანვარს ტფილისში მოწვეულია სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა ყრილობა. წარმომადგენლობის ნორმა: ყოველი 50 ირჩევს ერთს დელეგატს, ამ რიცხვის ნახევარზე მეტს აქვს უფლება იყოლიოს ერთი წარმომადგენელი.

ტფილისში დელეგატების არჩევნები სწარმოებენ:

11 იანვარს სახალხო სახლში საღამოს 4 სათზე მე-9, 10, 11 და 12 საშლიციო უბნების ფარგლებში მომუშავე კავშირის წევრებისათვის.

12 იანვარს ს. პ. კ. ს. დიდ დარბაზში საღამოს 4 სათზე 1, 2, 3 და 4 უბნებისთვის.

13 იანვარს მე-5-ე რაიკომის ბინაზე (ავლაბარი) საღამოს 4 სათზე მე-5, 6, 7, და 8 უბნებისთვის.

ყველა ამხ. კავშირის წევრების დასწრება აუცილებელია.

საორგ. მთავრო.

